

2022 წლის პირველი 1 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის დოქტორმა **დავით ჭითანავამ** და მეცნიერ-თანამშრომელმა, დოქტორანტმა **შორენა ლალიაშვილმა** მონაწილეობა მიიღეს ქართულ-ამერიკულ ექსპედიციაში, რომლის მიზანიც იყო გურიისა (კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (სოფლები: მაკვანეთი, ცხემლისხიდი, ლიხაური), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის (სოფლები: გუთური, შუაგანახლება), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის) და აჭარის (კერძოდ, ქობულეთი, ქედა, ხულო) რეგიონების მოსახლეობის გენეტიკური ნიმუშების (დნმ) მოპოვება და გენეალოგიური კვლევის ჩატარება. კვლევის მიზანია საქართველოს და კავკასიის გენეტიკური ისტორიის შესწავლა როგორც დნმ მარკერებით, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების გამოყენებით. ექსპედიციის წევრების მიერ ამ რეგიონებში, ადგილობრივი მოსახლეობისაგან, აღებულ იქნა დნმ-ის 300-მდე ნიმუში და მოხდა ეთნოგრაფიული მასალების მოძიება. მასალა დამუშავების პროცესშია და კვლევების შედეგები მომავალ წელს გამოქვეყნდება ადგილობრივ, თუ საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. კვლევა ხორციელდება პროექტის: **„დასავლეთ საქართველო, აჭარისა და გურიის გენეტიკური ისტორიის რეკონსტრუქცია“** ფარგლებში, გრანტის ნომერი: HJ-041R-17 National Geographic Society, აშშ. პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი თეოდორ შური.

ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია წლებია თანამშრომლობს პენსილვანიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტთან. 2012-2018 წლებში შესრულდა ერთობლივი პროექტი: „საქართველოს მოსახლეობის გენეტიკური მრავალფეროვნება კავკასიის მოსახლეობის ცვალებადობის ფონზე“ (ხელმძღვანელი, პროფესორი თეოდორ შური). პროექტის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპებზე განხორციელდა ორი ექსპედიცია სამეგრელოსა და სვანეთში, კერძოდ, სვანეთში (მესტია, ლაღამი, მულახი, კალა, იფარი, უშგული, ცხუმარი, ბეჩო, ეწერი, ლატალი, ჭუბერი, ხაიში და იდლიანი) 2012 წელს, ხოლო სამეგრელოში - 2016 წელს. ექსპედიციის წევრების მიერ ამ რეგიონებში, ადგილობრივი მოსახლეობისაგან, აღებულ იქნა დნმ-ის

ნიმუშები და მოხდა გვარსახელების შესახებ ეთნოგრაფიული მასალების მოძიება.
კვლევების შედეგები გამოქვეყნდა ადგილობრივ, თუ საერთაშორისო
მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.